

სპორტის განვითარების ხელშეწყობის

ღონისძიებები

ქართული ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის  
პროგრამა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის  
საქმეთა სამინისტრო

თბილისი

2017 წ.

## 1. პროგრამის აღწერა და მიზანი

### პროგრამის მიზანია :

- საქართველოში ქართული ჭიდაობის განვითარების პროგრამა წარმოადგენს იმ აუცილებელი მიმართულებების რეალიზაციის გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მსოფლიო, ასევე საქართველოს მასშტაბით ქართული ჭიდაობის, როგორც ეროვნული სპორტის სახეობის განვითარებას და საერთაშორისო დონეზე, როგორც კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციის წარდგენას. ასევე უზრუნველყოფს ქართული ჭიდაობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.
- სასწავლო-საწვრთნელ პროცესში დასაქმებულ მწვრთნელ მასწავლებელთა საქმიანობაში თანამედროვე გამოცდილების დანერგვა.
- ყველა ასაკობრივ ჯგუფში მომეცადინე ვაჟთა სასწავლო საწვრთნელი პროცესისა და საშეჯიბრო პრაქტიკის სრულყოფა.
- მცირე საცხოვრებელი ბაზის შექმნა და მისი გამოყენება სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების უზრუნველსაყოფად.

### პროგრამის ძირითადი არსია:

- ქართული ჭიდაობის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ქართული ჭიდაობის ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია;
- სასწავლო-საწვრთნელი პროცესის, სხვა მომსახურე პერსონალის სახელფასო ბაზის სრულყოფა და ფედერაციის ადმინისტრაციული ოფისის ყოველთიური საიჯარო გადასახადის უზრუნველყოფა.
- ქართული ჭიდაობის შემდგომი წინვლისათვის ხელშეწყობა და ყოველმხრივი დახმარება; მისი, როგორც არამატერიალური ძეგლის სტატუსის მქონის პოპულარიზაცია, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
- საქართველოს ჩემპიონატის, სახელობითი ტურნირებისა და საქართველოს აბსოლუტური ფალაგნობის ჩატარება.
- ქართული ჭიდაობის საჭიდაო ჩოხების შექმნა.
- ქართული ჭიდაობის, როგორც ეროვნული სახეობის პროდუქტის შექმნა, რომელიც მიმზიდველი იქნება ბიზნესისათვის, ინვესტიციების (სპონსორობის) განსახორციელებლად.
- საზოგადოების მაღალი ინფორმირებულობა ქართულ ჭიდაობაში მიმდინარე პროცესებზე;
- მწვრთნელ-მასწავლებელთა ატესტაცია და თანამედროვე მიმდინარეობის შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარების მოწყობა.
- მსაჯთა ატესტაცია და შიდა სემინარების ორგანიზება.
- არსებული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით საჯარო სკოლებში ქართული ჭიდაობის შეტანა, მომეცადინეთათვის ქართული ჭიდაობის სწავლების სათანადო ლიტერატურით, ვიდეო მასალით, საჭირო ინვენტარის შერჩევა-მიწოდებით დახმარება.

## 1. პროგრამის ამოცანები:

- საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული, ახალგაზრდული, ჭაბუკთა, უმცროსი ასაკის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა;
- ეროვნული ასაკობრივი ნაკრები გუნდების ჩამოყალიბების შემდეგ, თითოეული გუნდისათვის, ფედერაციის მიერ დანიშნული მწვრთნელების ანაზღაურება.
- ეროვნული ასაკობრივი ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების (რეგიონალური) ჩატარება.
- ქართული ჭიდაობის, როგორც ეროვნული სახეობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანის შემდეგ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა.

## 2. პროგრამის შესრულების ვადები

დაწყება – 01.01.2017

დასრულება - 31.12.2017

### საერთო ღირებულება

- პროგრამა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ასიგნებების თანხა შეადგენს 250 000 ლარს, რომელიც ძირითადად მოიცავს შემდეგ ხარჯებს:
- საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის ეგიდით დაგეგმილი ღონისძიებების, საქართველოს რაიონებში ტურნირების ჩატარების ხარჯების, მომსახურე პერსონალისა და მსაჯების ანაზღაურება.
- ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციისათვის სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში ქართველი მოჭიდავეების მონაწილეობა.
- ქართული ჭიდაობის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის შეძენის ხარჯები.
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.
- ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული 2017 წლის სპორტულ-ღონისძიებათა კალენდრის მიხედვით ეროვნული ჩემპიონატების, სახელობითი ტურნირებისა და საქართველოს ფალავნობის ჩატარება;
- ქართული ჭიდაობის სხვადასხვა ნაკრები გუნდების მონაწილეობა ქართული ჭიდაობის მსგავსი ფედერაციების მიერ ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში და ასევე უცხო ქვეყნის წარმომადგენლების ფინანსური უზრუნველყოფა საქართველოში „ფალავნობაზე“.
- საპრიზო ფონდის უზრუნველყოფა შიდა ჩემპიონატებში მაღალი სპორტული მიღწევებისათვის;
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა.

## 4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

## 5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

### შედეგები:

- საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების, ფალავნობის უმაღლეს დონეზე ჩატარება.
- საწვრთნელი და საშეჯიბრო პროცესების ხარისხის და პირობების გაუმჯობესება.
- მოჭიდავეთა, მწრთვანთა, მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება.
- ქართული ჭიდაობის პოპულარობის ზრდა რაც, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის, მათი ფიზიკურად და სულიერად ძლიერ ადამიანებად აზღვრდისათვის.

### ინდიკატორები:

- კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულების მაჩვენებელი;
- საერთაშორისო ასპარეზობებზე მოპოვებული შედეგები;
- პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების და ბენეფიციარების ჩართულობის მაჩვენებელი;